

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო



ეკონომიკური ტენდენციების
კვარტალური მიმოხილვა

III კვარტალი, 2024

მოკლე შეჯამება

- 2023 წლის ეკონომიკურმა ზრდამ, წინასწარი მონაცემებით, 7.5 პროცენტი შეადგინა
- 2024 წლის მეორე კვარტალში საშუალო ეკონომიკურმა ზრდამ 9.6 პროცენტი შეადგინა, ხოლო პირველ კვარტალში საშუალო ზრდამ 8.4 პროცენტი იყო
- მესამე კვარტალში წლიურმა ინფლაციამ შეადგინა 1.1 პროცენტი, ხოლო საბაზისო ინფლაციამ (თამბაქოს გარეშე) – 1.0 პროცენტი
- ადგილობრივი ექსპორტი გაიზარდა წლიურად 9.4 პროცენტით
- იმპორტი გაიზარდა წლიურად 3.6 პროცენტით
- ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი გაიზარდა როგორც 2023 წლის მესამე კვარტალთან, ასევე - 2019 წლის დონესთან შედარებით
- ეროვნულმა ბანკმა რეფინანსირების განაკვეთი 8.0 პროცენტზე დატოვა





სარჩევი

<u>რეალური სექტორი</u>	4
<u>ეკონომიკური ზრდა</u>	4
<u>დასაქმება და უმუშევრობა</u>	6
<u>ფასების დონე</u>	7
<u>რეგიონის ეკონომიკური მიმოხილვა</u>	9
<u>საგარეო სექტორი</u>	11
<u>მიმდინარე ანგარიშის ბალანსი</u>	11
<u>საგარეო ვალი</u>	12
<u>პირდაპირი უცხოური ინვესტიციები</u>	13
<u>საგარეო ვაჭრობა</u>	14
<u>ტურიზმი</u>	15
<u>ფულადი გზავნილები</u>	15
<u>სხვა ქვეყნებზე დამოკიდებულება</u>	16
<u>გაცვლითი კურსი</u>	17
<u>ფისკალური სექტორი</u>	18
<u>ნაერთი ბიუჯეტის შესრულება</u>	18
<u>საქართველოს სახელმწიფო ვალი</u>	20
<u>მონეტარული სექტორი</u>	21
<u>კერძო სექტორის ლარიზაცია</u>	21
<u>სესხების მიმოხილვა</u>	22
<u>დეპოზიტების მიმოხილვა</u>	23
<u>მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი</u>	24
<u>საპროცენტო განაკვეთები</u>	25



რეალური სექტორი


ეკონომიკური ზრდა

წინასწარი მონაცემებით, 2024 წლის პირველ კვარტალში რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაიზარდა 8.4 პროცენტით, ხოლო მეორე კვარტალში ზრდამ საშუალოდ 9.6 პროცენტი შეადგინა. ამავე დროს, 2024 წლის მეორე კვარტალში რეალურმა ეკონომიკურმა ზრდამ 2019 წლის მეორე კვარტალთან შედარებით შეადგინა 42.2 პროცენტი საშუალოდ. მეორე კვარტალში ექსპორტი წლიურად შემცირდა 4.4 პროცენტით, ხოლო იმპორტი წლიურად გაიზარდა 1.9 პროცენტით. ამავე დროს, 2019 წლის მეორე კვარტალთან შედარებით, ექსპორტი გაიზარდა 58.2 პროცენტით, ხოლო იმპორტი გაიზარდა 71.8 პროცენტით. ტურიზმის გათვალისწინებით, პანდემიამდე არსებულ მდგომარეობასთან შედარებით, საგარეო მოთხოვნა იზრდება და საერთაშორისო მოგზაურობისგან მიღებული შემოსავალი მეორე კვარტალში წლიურად გაიზარდა 24.3 პროცენტით 2019 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რაც 8.1 პროცენტთან ზრდას გულისხმობს წინა წელთან შედარებით. რაც შეეხება საერთაშორისო გზავნილებიდან მიღებულ შემოსავალს, იგი შემცირებულია 34.5 პროცენტით, 2023 წლის მეორე კვარტალთან შედარებით.

აღსანიშნავია, რომ 2023 წელს რეალური მშპ წლიურად გაიზარდა 7.5 პროცენტით. რაც შეეხება 2024 წლის მეორე კვარტალში, დაფიქსირდა 9.6 პროცენტის ზრდა, რაც 2019 წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებაში 33.5 პროცენტთან ზრდას ნიშნავს.


2024 წლის მეორე კვარტალში მნიშვნელოვანი წილი მოხმარების კომპონენტმა შეიტანა, მან მთლიან ზრდაში რეალურ გამოსახულებაში 18.3 პ.პ. წვლილი შეიტანა გაიზარდა, ასევე მნიშვნელოვანი წვლილი ჰქონდა ექსპორტის კომპონენტს, რომელიც 1.3 პ.პ. გაკლენა მოახდინა. ამავე დროს, რეალურ გამოსახულებაში შემცირდა იმპორტისა და ინვესტიციები კომპონენტის წვლილი და მათ უარყოფითი 8.1 და 1.9 პ.პ. შეადგინეს.

დიაგრამა 1: ეკონომიკური ზრდა




წყარო: საქსტატი

დიაგრამა 2: სექტორების რეალური ზრდა, 2024 II კვარტალი




წყარო: საქსტატი

დიაგრამა 3: ეკონომიკური ზრდის დეკომპოზიცია




წყარო: საქსტატი

დიაგრამა 4: ეკონომიკური ზრდის პროგნოზი



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

დიაგრამა 5: მშპ მოსახლეობის ერთ სულზე, ათასი აშშ დოლარი



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

2024 წლის II კვარტალში რიგ საქმიანობებში გამოვლინდა რეალური ეკონომიკური ზრდა. კერძოდ, მნიშვნელოვანი წვლილი ზრდაში შეიტანა შემდეგმა საქმიანობებმა: განათლება: 21.3% წ/წ (1.2 პ.პ.), განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები: 35.7% (1.2 პ.პ.), პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები: 12.7% (0.2 პ.პ.), სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა: 13.3% (0.9 პ.პ.), ტრანსპორტი და დასაწყობება: 16.1% (1.6 პ.პ.), მშენებლობა: 13% (0.8 პ.პ.), შინამეურნეობების, როგორც დამქირავებლის, საქმიანობები: 17.3% (0.02 პ.პ.).

2024 წლის განმავლობაში ზრდა ნაწილობრივ დამოკიდებული იქნება რეგიონში არსებულ მდგომარეობასა და ქვეყნის ეკონომიკაზე მის გავლენაზე. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს პროგნოზის მიხედვით, 2024 წელს მოსალოდნელია 5.2 პროცენტული ეკონომიკური ზრდა, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება შიდა მოთხოვნის ზრდით და ბიუჯეტში გათვალისწინებული ფისკალური სტიმულების ღონისძიებებით. 2025-2028 წლებში გაგრძელდება საშუალოდ 5.0 პროცენტული ზრდა.




დასაქმება და უმუშევრობა

2024 წლის მეორე კვარტალში უმუშევრობის დონემ 13,7 პროცენტი შეადგინა, რაც 0,3 პ.პ.-ით ნაკლებია წინა კვარტლის მნიშვნელობაზე და 3,1 პ.პ.-ით ნაკლებია წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. მათ შორის, უმუშევრობა ქალაქად შეადგენდა 14,3 პროცენტს (-3,5 პ.პ. წ/წ), ხოლო სოფლად - 12,8 პროცენტს (-2,5 პ.პ. წ/წ). 2024 წლის მეორე კვარტალში ეკონომიკურად აქტიურმა მოსახლეობამ შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის (15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობა) 54,5 პროცენტი შეადგინა. 2024 წლის მეორე კვარტალში, ქალების ჯგუფში უმუშევრობის დონემ შეადგინა 10,9 პროცენტი, ხოლო მამაკაცების ჯგუფში აღნიშნულმა მაჩვენებელმა შეადგინა 15,9 პროცენტი.

2024 წლის მეორე კვარტალში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით დასაქმებულთა რაოდენობა გაიზარდა 4,6 პროცენტით, ხოლო 3 პროცენტული პუნქტით გაზრდილია დასაქმების დონე. ამავე პერიოდში უმუშევართა რაოდენობა წლიურად შემცირდა 17,7 პროცენტით. ამავე დროს, 11,1 პროცენტით გაიზარდა დასაქმებულთა საშუალო ნომინალური ხელფასი, რომელიც 2024 წლის მეორე კვარტლის მდგომარეობით შეადგენს 2004,9 ლარს.


2024 წლის მეორე კვარტალში ადგილი ჰქონდა პროდუქტიულობის 3,9 პროცენტიან შემცირებას წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. პროდუქტიულობა გამოთვლილია რეალური მშპ-ს დასაქმებულთა რაოდენობაზე შეფარდების ზრდის ტემპით.

დიაგრამა 6: შრომის ბაზრის ინდიკატორები



წყარო: საქსტატი

დიაგრამა 7: პროდუქტიულობა და დასაქმებულთა საშუალო ხელფასი (წლიური ცვლილება, %)



წყარო: საქსტატი



ფასების დონა


მას შემდეგ, რაც 2022 წელს ორნიშნა ინფლაცია დაფიქსირდა 11.9%-იან დონეზე და მაისში პიკს მიაღწია, 13.3%-ზე, მან შემცირება დაიწყო და კლება კვლავაც გრძელდება. შესაბამისად, ერთი მხრივ, მაღალი საბაზო ეფექტის, ხოლო მეორე მხრივ გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკის გამო, 2023 წელს ინფლაციის დონემ იკლო და იგივე ტენდენცია გრძელდება 2024 წელსაც. აღნიშნულზე გავლენა იქონია მსოფლიო ბაზარზე ნედლეულის ფასების და ასევე საკვები პროდუქტებისა და ნავთობის ფასების კლებამ. წლიურ ინფლაციაზე კლების მიმართულებით გავლენა ასევე დამოკიდებულია გაცვლითი კურსის გამყარებაზე, რაც ამცირებს ინფლაციის მაჩვენებელზე იმპორტირებული საქონლისა და სურსათის ფასების გავლენას.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის ბოლო პროგნოზის მიხედვით (ოქტომბერი, 2024), მსოფლიო ინფლაცია 2024 წელს 2023 წლის 6.7 პროცენტიდან შემცირდება 5.8 პროცენტამდე, ასევე მოსალოდნელია 2025 წელს მისი 4.3 პროცენტამდე შემცირება. მოსალოდნელია, რომ განვითარებული ქვეყნები უფრო ადრეულად დაუბრუნდებიან მათ მიზნობრივ ინფლაციას, ვიდრე - განვითარებული ეკონომიკები. ინფლაციის შემცირების მიხედვით საერთაშორისო სავალუტო ფონდი ასახელებს სამუშაო ძალაში მონაწილეობის დონის ზრდას, რაც ეროვნულ ბანკებს საშუალებას აძლევს გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკიდან ეტაპობრივად გამოვიდნენ.


აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, 2023 წლის ინფლაცია მიზნობრივ მაჩვენებელს ჩამოსცდა და მან 2.5 პროცენტი შეადგინა. 2024 წლის პირველ კვარტალში საშუალო ინფლაციამ 0.3 პროცენტი, მეორე კვარტალში 1.9 პროცენტი, ხოლო მესამე კვარტალში 1.1 პროცენტი შეადგინა, რაც ასევე მიზნობრივ ინფლაციაზე დაბალია. დაბალი ინფლაციის წყაროს მკაცრი მონეტარული პოლიტიკის შენარჩუნებისა და შემცირებული ინფლაციური მოლოდინების გამო, ადგილობრივად წარმოებული პროდუქტების დაბალი ინფლაცია წარმოადგენს. საბაზო ინფლაცია 2024 წლის მესამე კვარტალში გაუტოლდა 1.0 პროცენტს, ხოლო თამბაქოს გარეშე საბაზო ინფლაცია 0.9 პროცენტია.

2024 წლის 11 სექტემბერს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება, შეენარჩუნებინა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 8.0 პროცენტზე, რაც გრძელდება ივნისიდან. ეს გამოწვეულია იმით, რომ ქვეყანაში დაბალ ინფლაციური გარემო

დიაგრამა 8: წლიური ინფლაცია



დიაგრამა 9: ინფლაციის დეკომპოზიცია




წყარო: საქსტატი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ნარჩუნდება და მთლიანი ინფლაცია კვლავ მიზნობრივი მაჩვენებელის ქვემოთაა. ინფლაციის ერთ-ერთი მთავარი რისკია გაცვლითი კურსის მერყეობა, რაც იმპორტირებული ინფლაციიდან მომდინარე ინფლაციურ წნეხს საყურადღებოს ხდის. ამასთან, ბოლო პერიოდში ნავთობზე საერთაშორისო ფასები შემცირდა, თუმცა სურსათის ფასების საერთაშორისო ინდექსი გაიზარდა მესამე კვარტალში, ამიტომ ეროვნული ბანკი მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის შემცირებას მხოლოდ ნელი ტემპით განაგრძობს.

2024 წლის მესამე კვარტლის ჭრილში, მთლიან ინფლაციაში ადგილობრივი ინფლაციის წვლილი გაუტოლდა 0.7 პროცენტს და იმპორტირებული ინფლაციის წვლილმაც შეადგინა 0.7 პროცენტი.

დიაგრამა 10: ინფლაციის დეკომპოზიციის III კვარტალი, 2024



წყარო: საქსტატი




რეგიონის ეკონომიკის მიმოხილვა

მიმდინარე წლის ოქტომბერში IMF-მა განაახლა თავისი პროგნოზები მსოფლიოს ძირითადი ქვეყნების ეკონომიკებისათვის. აღნიშნული განახლების მიხედვით 2022-2023 წლებში მსოფლიო ეკონომიკის ზრდა შეადგენდა შესაბამისად 3.6 და 3.3 პროცენტს. 2024 წლის საპროგნოზო ზრდის მაჩვენებელი უცვლელია და 3.2 პროცენტს შეადგენს მთელი მსოფლიოსათვის. IMF-ის წინა ანგარიშის მიხედვით, 2024 წელს მსოფლიო ეკონომიკის მოსალოდნელი ზრდის ტემპი 3.2 პროცენტს შეადგენდა. წინა წელთან შედარებით ზრდის გაზრდა (2023 წელს პროგნოზი იყო 2.9%) გამოწვეულია განვითარებული ქვეყნების, განსაკუთრებით გამოსარჩევია აშშ, ეკონომიკების ზრდის ამაღლებით. აღსანიშნავია ასევე, რომ 2024 წელთან დაკავშირებული მოლოდინები შედარებით უკეთესია, ვიდრე გასულ წელს იყო.

იმის მიუხედავად, რომ 2020 წელს თურქეთში არ ყოფილა რეცესია, მისი რეალური მშპ 2021 წელს 11.4 პროცენტით გაიზარდა. IMF-ის 2024 წლის ოქტომბრის მიმოხილვის პროგნოზით, თურქეთის ეკონომიკა მოსალოდნელია, რომ გაიზარდება 3.0 და 2.7 პროცენტით შესაბამისად 2024 და 2025 წლებში (2023 წლის 5.1 პროცენტთან ზრდის შემდეგ). 2024 წლის ეკონომიკური ზრდის საპროგნოზო მაჩვენებლის 2024 წლის ოქტომბრის პროგნოზი მიმდინარე წლის აპრილის პროგნოზთან შედარებით შემცირებულია 0.1 პროცენტული პუნქტით. მთავარ გამოწვევას თურქეთისთვის კვლავ ეროვნული ვალუტის, ლირას გაუფასურება და მაღალი ინფლაცია წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ თურქეთში სრულდება მკაცრი მონეტარული პოლიტიკა და მოხმარება იწყებს აღდგენას. ფაქტობრივი ინფლაცია 53.9% იყო 2023 წელს. ინფლაციის მიმდინარე პროგნოზი 2024 წლისათვის 60.9 პროცენტს შეადგენს. 2024 წელს თურქეთის სუვერენულ საკრედიტო რეიტინგებმა ცვლილება განიცადა. Fitch-მა თურქეთის რეიტინგი B+ დან BB- მდე აამალა, S&P-მაც რეიტინგი B+ (პოზიტიური)-მდე გაზარდა, ხოლო Moody's-მა B1 (პოზიტიური)-ზე დააფიქსირა.


რუსეთის ეკონომიკამ, სანქციების ფონზე, მოსალოდნელზე უკეთესი შედეგი აჩვენა 2023 წელს. რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულ ზომებს არა მხოლოდ მოკლევადიანი, არამედ საშუალოვადიანი გავლენაც ექნება, ვინაიდან მსხვილი მომხმარებლები და ქვეყნები უარს ამბობენ რუსეთთან გრძელვადიან პარტნიორობაზე ენერჯო და სხვა სექტორებში. 2024 წლის აპრილის IMF-ის შეფასებებით, რუსეთის ეკონომიკის რეალური ზრდა 2023 წელს იყო 3.6%. რაც შეეხება 2024-2025 წლების პერიოდს, მოსალოდნელია, რომ ეს მაჩვენებელი იქნება შესაბამისად 3.2% და 2.2%. 2022 წელს სარეიტინგო კომპანიებმა რუსეთის სუვერენული საკრედიტო რეიტინგი ჯერ მკვეთრად გააუარესეს, შემდგომ კი შეწყვიტეს მისთვის რეიტინგის მინიჭება.

დიაგრამა 11: ეკონომიკური ზრდა რეგიონში




წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი

დიაგრამა 12: ინფლაცია რეგიონში



წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი


დიაგრამა 13: მიმდინარე ანგარიშის შეფარდება მშპ-თან, %



წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი

ომის შედეგად გაზრდილი ნავთობის ფასები დადებითად აისახება აზერბაიჯანის ეკონომიკაზე. IMF-ის 2024 წლის ოქტომბრის ანგარიშის მიხედვით, აზერბაიჯანის მოსალოდნელი ზრდა გაუმჯობესდა. 2021 და 2022 წლების მაღალი ზრდის შემდგომ, 2023 წელს რეალური ზრდა 1.1% იყო. 2024 და 2025 წლების აზერბაიჯანის რეალური მშპ-ს ზრდის პროგნოზია შესაბამისად 3.2% და 2.5%. უკანასკნელ წლებში აზერბაიჯანის ეკონომიკა ხასიათდებოდა მაღალი ინფლაციით, თუმცა შეინიშნება მისი ტემპის კლება (დისინფლაცია). 2023 წელს აზერბაიჯანში ინფლაციამ 8.8% შეადგინა. მოსალოდნელია, რომ ინფლაცია 2.1 და 4.8 პროცენტზე დაფიქსირდეს, შესაბამისად 2024 და 2025 წლებში. 2024 წელს აზერბაიჯანის სუვერენული საკრედიტო რეიტინგები შემდეგია: Fitch-ის შეფასებით BBB- (სტაბილური), S&P-ის შეფასებით BB+ (სტაბილური) და Moody's-ის მიხედვით Ba1 (პოზიტიური).

დიაგრამა 14: ბიუჯეტის დეფიციტის შეფარდება მშპ-თან, %



წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი

საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზების მიხედვით, მოსალოდნელი იყო, რომ რეგიონის ქვეყნებში, გარდა ომში ჩართული ქვეყნებისა, სომხეთის ეკონომიკა ყველაზე მეტად დაზარალდებოდა, ვინაიდან მისი ეკონომიკა ყველაზე მეტადაა რუსეთის ეკონომიკაზე დამოკიდებული. თუმცა არსებული რისკები არ მატერიალიზდა. სომხეთის ეკონომიკა 2023 წელს 8.3%-ით გაიზარდა. IMF-ის 2024 წლის ოქტომბრის შეფასებების მიხედვით, მიმდინარე წელს სომხეთის რეალური მშპ 6.0 პროცენტით, ხოლო 2025 წელს კი 4.9 პროცენტით გაიზარდება (2023 წლის ოქტომბრის პროგნოზი 2024 წლისათვის 5.0%). ინფლაცია არ იყო სომხეთში მაღალი 2023 წელს (2.0%) და მოსალოდნელია, რომ ის 2024 წელს 0.2%, ხოლო 2025 წელს კი 3.1% იქნება. 2024 წლის დასაწყისში სომხეთის სუვერენული საკრედიტო რეიტინგები დაფიქსირებულია შემდეგ დონეებზე: BB- სტაბილური (S&P და Fitch) და Ba3 სტაბილური (Moody's).

უკრაინის გარშემო მდგომარეობა გაურკვეველი რჩება. IMF-მა განაახლა პროგნოზების გამოქვეყნება 2024 წლისა და მის შემდგომ პერიოდებზე, თუმცა სიტუაცია ამ ქვეყანაში შეიძლება შეიცვალოს ნებისმიერ მომენტში. IMF-ის მიხედვით, 2023 წელს უკრაინის ეკონომიკა გაიზარდა 5.3 პროცენტით, რაც წინა წლის დიდი ვარდნის გათვალისწინებით ეკონომიკის შემობრუნებაზე მიუთითებს, თუმცა საბაზო ეფექტიც მხედველობაშია მისაღები. რაც შეეხება 2024 და 2025 წლების პროგნოზებს, ქვეყნის რეალური მშპ-ს მოსალოდნელი ზრდა შესაბამისად 3.0 და 2.5 პროცენტების დონეზე განისაზღვრა. 2023 წელს უკრაინაში ინფლაცია 12.9% იყო და მოსალოდნელია, რომ შემცირდება მომდევნო წლებში.



საბარეო სექტორი


მიმდინარე ანგარიშის ბალანსი

2020 წელს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა მშპ-ს 12.4 პროცენტი შეადგინა, რაც მნიშვნელოვანი გაუარესებაა 2019 წლის 6.0 პროცენტიანი დეფიციტის შემდეგ. 2021 წლის მეორე კვარტალიდან მიმდინარე ანგარიშის ბალანსმა გაუმჯობესება დაიწყო. 2021 წელს დეფიციტმა მშპ-ს 10.3 პროცენტი შეადგინა, 2022 წელს კი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა და მშპ-ს 4.4% შეადგინა. გაუმჯობესება გაგრძელდა 2023 წელსაც და 4.4% დაფიქსირდა, ხოლო 2024 წლის პირველ-მეორე კვარტალში მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა 4.5 და 7.4 პროცენტი შეადგინა, შესაბამისად.

მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსება ხდება ვალით და პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით. დეფიციტის ვალით დაფინანსება გულისხმობს ახალი ვალის აღებას და შესაბამისად, უფრო მეტი ხარჯის გაწევას ვალის მომსახურებაზე. ამ მხრივ მნიშვნელოვანია, რომ მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდის ხარჯზე განხორციელდეს. საქართველოში ბოლო პერიოდში უმჯობესდებოდა მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსების სტრუქტურა. 2017 წელს დეფიციტი მთლიანად იყო პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით დაფინანსებული, ხოლო პოსტპანდემიურ პერიოდში დეფიციტის დაფინანსებაში საგარეო ვალი საკმაოდ დიდი წვლილით მონაწილეობდა. 2020 წელს ვალით დაფინანსებამ საკმაოდ დიდი წვლილი, 12.4%-დან 8.8 პ.პ შეიტანა დეფიციტის დაფინანსებაში. 2022-2023 წლებში კვლავ გაუმჯობესებულია სტრუქტურა და მთლიანი დეფიციტი უცხოური ინვესტიციებით დაფინანსდა.


2024 წლის მეორე კვარტალში 7.4 პროცენტიდან 6.0 პ.პ იყო დაფინანსებული უცხოური ინვესტიციებით, ხოლო ვალის წვლილი 1.3 პ.პ შეადგინა. ვალის წვლილი მაღალი იყო 2023 წლის მეოთხე კვარტალშიც (7.7%-დან 4.8 პ.პ), წინა პერიოდში დეფიციტის დაფინანსებისას ვალის უმნიშვნელო წვლილთან შედარებით. 2023 წელს კი ვალის წვლილი მხოლოდ 0.3 პ.პ იყო 5.6%-იანი მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსებაში.

დიაგრამა 15: მიმდინარე ანგარიშის შეფარდება მშპ-თან, %




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქსტატი

დიაგრამა 16: ადგილობრივი ინვესტიციების დაფინანსება




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქსტატი

დიაგრამა 17: მიმდინარე ანგარიშის დაფინანსება




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქსტატი

დიაგრამა 18: საგარეო ვალი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქსტატი

დიაგრამა 19: ვალის მშპ-თან თანაფარდობის ცვლილება



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქსტატი

დიაგრამა 20: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები



წყარო: საქსტატი

საგარეო ვალი

მიმდინარე ანგარიშის დეფიციტთან ერთად, საქართველოს ეკონომიკის დამატებით სისუსტედ საგარეო ვალი მიიჩნევა, რაც კვლავ რჩება მოწყვლადობის ძირითად წყაროდ. საგარეო ვალი შედგება როგორც სამთავრობო სექტორის ვალისგან, ასევე - კომერციული და ეროვნული ბანკის საგარეო ვალისგან და კომპანიათაშორისი შესხვებისგან.

მიმდინარე პანდემიის პირობებში საქართველოს მთლიანი საგარეო ვალი მნიშვნელოვნად გაიზარდა 2020 წელს და მთლიანი შიდა პროდუქტის 131.2 პროცენტი შეადგინა. წინა წელთან შედარებით კი 23.4 პ.პ-ით გაიზარდა. საგარეო ვალის ზრდა მნიშვნელოვნად იყო გამოწვეული სამთავრობო სექტორის ვალის ზრდით, პანდემიისას განხორციელებული ღონისძიებებისა და მოზიდული დაფინანსების გამო. 2021 წელს დაიწყო საგარეო ვალის კლება და მთლიანი შიდა პროდუქტის 117.3 პროცენტი შეადგინა, რაც 13.8 პ.პ-ით ნაკლებია წინა წლის მონაცემთან შედარებით. კლების მიზეზს წარმოადგენს ეკონომიკური აქტივობის დაჩქარება და შესაბამისად, ნომინალური მშპ-ს მოსალოდნელზე მეტად ზრდა. კლება გაგრძელდა 2022-2023 წლებშიც და 2023 წლის ბოლოს 80.2 პროცენტამდე შემცირდა, ხოლო 2024 წელს კიდევ უფრო შემცირდა და მეორე კვარტალში 77.9 პროცენტზე დაფიქსირდა, რაც ყველაზე დაბალი მაჩვენებელია პანდემიის შემდეგ.

საგარეო ვალის ცვლილების დეკომპოზიცია წარმოდგენილია როგორც საოპერაციო ანუ ვალის აღებით, ასევე - საფასო ეფექტით, გაცვლითი კურსის ცვლილებითა და ნომინალური მშპ-ს ცვლილებით. აღსანიშნავია, რომ 2015-2016 წლებში ზოგიერთ კვარტალში საგარეო ვალის ზრდაში ყველაზე დიდი წვლილი გაცვლითი კურსის გაუფასურებამ შეიტანა, თუმცა წლიურად გავლენა საოპერაციო ცვლილებას უფრო მეტი ჰქონდა. ამასთან, მშპ ხშირად ხელს უწყობდა საგარეო ვალის შემცირებას. პანდემიის შემდეგ, დოლარში გამოხატული ვალი შემცირებულია 13.3 და 21.1 პ.პ-ით. გაუმჯობესებული მიმდინარე ანგარიშის ბალანსის გამო საჭირო არ გახდა დეფიციტის ვალის ზრდით დაფინანსება 2021-2022 წლებში, რამაც ხელი შეუწყო ვალის შემცირებას. ეს გაგრძელდა 2023 წელსაც და ვალი შემცირდა 15.6 პ.პ-ით, სადაც წვლილი შეიტანა საოპერაციომ, კურსის ცვლილებამ კი ვალის ზრდას შეუწყო ხელი.



პირდაპირი უცხოური ინვესტიციები


2024 წლის მეორე კვარტალში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (FDI) მოცულობამ დაახლოებით 574 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (მშპ-ს 7.1 პროცენტი), რაც 10.3 პროცენტით ნაკლებია წინა წელთან შედარებით.

2024 წლის მეორე კვარტალში ყველაზე მეტი ინვესტიცია გაერთიანებული სამეფოდან (46.4 პროცენტი მთლიან FDI-ში) შემოვიდა, ხოლო მეორე და მესამე ადგილს ინაწილებენ იაპონია და მალტა, შესაბამისად, 10.3 პროცენტი და 6.6 პროცენტის წილებით მთლიან FDI-ში.

ინვესტიციები ძირითადად განხორციელდა საფინანსო და სადაზღვეო სექტორში და მისმა მოცულობამ 300.1 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა (მთლიანი ინვესტიციების 52.3 პროცენტი). მთლიან ინვესტიციებში ასევე მაღალი წილი უკავია საბითუმო და საცალო ვაჭრობის სექტორს 79.2 მილიონი აშშ დოლარით (13.8 პროცენტი).


რაც შეეხება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კომპონენტებს, 2024 წლის მეორე კვარტალში რეინვესტირებულმა შემოსავლებმა მშპ-ს 5.6 პროცენტი შეადგინა და მისმა რაოდენობამ 451.3 მლნ აშშ დოლარს მიაღწია.

დიაგრამა 21: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქსტატი

დიაგრამა 22: FDI-ის განაწილება (%), 2024 კვ2




წყარო: საქსტატი

დიაგრამა 23: საგარეო ვაჭრობა, კვ.1




წყარო: საქსტატი

დიაგრამა 24: ადგილობრივი ექსპორტის წლიური ცვლილება




წყარო: საქსტატი

დიაგრამა 25: იმპორტის წლიური ცვლილება



წყარო: საქსტატი

დიაგრამა 26: იმპორტის ცვლილების დეკომპოზიცია



წყარო: საქსტატი; ავტორის გაანგარიშება

საგარეო ვაჭრობა

2020 წელს COVID 19-ის პანდემიის ფონზე, მსოფლიოში საგარეო ვაჭრობამ იკლო, რაც საქართველოს ეკონომიკაზეც აისახა. შემცირებული საწარმოო და სამომხმარებლო აქტივობების ფონზე იმპორტმა კლება განიცადა, ხოლო 2020 წლის პირველ ნახევარში შემცირდა ექსპორტიც.

2021 წელს, მას შემდეგ რაც მსოფლიოში და მათ შორის საქართველოშიც დაიწყო შეზღუდვების მოხსნა, საგარეო ვაჭრობამ სწრაფი ტემპებით დაიწყო აღდგენა. გაზრდილ ექსპორტთან ერთად, სწრაფი ტემპებით აღდგა იმპორტიც. ამასთან, ფასების ზრდამ განაპირობა ფასისმიერი ზრდის წვლილის გაზრდაც როგორც ექსპორტის, ასევე - იმპორტის ზრდაში, თუმცა 2022 წელს დაფიქსირდა ადგილობრივი ექსპორტის უფრო ნელი ზრდა, ძირითადად ფასისმიერი ეფექტის შემცირებიდან გამომდინარე. შესაბამისად, 2022 წელს ადგილობრივი ექსპორტის ნომინალური კლება დაფიქსირდა, რაც რეალური კლებით იყო გამოწვეული. 2023 წელს ექსპორტი კიდევ უფრო შემცირდა, ძირითადად რეალური კლების ხარჯზე, რაც გაგრძელდა 2024 წლის პირველ კვარტალშიც და კლებამ 21.0 პროცენტი შეადგინა, საიდანაც რეალური კლება 18.6 პროცენტს შეადგენდა. მეორე კვარტალში კი ექსპორტი 1.2 პროცენტით შემცირდა, რაც რეალური კლებით იყო გამოწვეული, ხოლო მესამე კვარტალში 9.4 პროცენტიანი ზრდა დაფიქსირდა, საიდანაც 8.9 პროცენტი ფასისმიერი ზრდა იყო და რეალურმა ზრდამ 0.5 პროცენტი შეადგინა.


2024 წლის მესამე კვარტალში, სამომხმარებლო პროდუქტის იმპორტი გაიზარდა 3.6 პროცენტით (3.8 კპ წილი მთლიან იმპორტში). საინვესტიციო პროდუქტის იმპორტი კლება 5.4 პროცენტს გაუტოლდა (-2.3 კპ მთლიან იმპორტში). რაც შეეხება შუალედურ პროდუქტს, მისმა ზრდამ 8.0 პროცენტი შეადგინა (2.1 კპ მთლიან იმპორტში). 2024 წლის მესამე კვარტალში საქონლის ექსპორტი გაიზარდა 25.6 პროცენტით. ექსპორტის მთავარი შემადგენელი ნაწილი კვლავ მსუბუქი ავტომობილებია (მთლიანი ექსპორტის 42.7 პროცენტი), ასევე დიდი წილი ფეროშენადნობებისა (მთლიანი ექსპორტის 4.3 პროცენტი) და ეთილის სპირტის (მთლიანი ექსპორტის 4.0 პროცენტი) ექსპორტს უკავიათ. უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფი კვლავ მსუბუქმა ავტომობილებმა, ნავთობპროდუქტებმა და სამკურნალო საშუალებებმა შეადგინა, შესაბამისად, 19.8, 8.2 და 3.4 პროცენტული წილით.



ტურიზმი

2023 წელს ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები სრულიად იყო აღდგენილი 2019 წლის დონესთან შედარებით და აჭარბებდა კიდევაც მას. 2024 წლის მესამე კვარტალში ტურიზმიდან შემოსავალმა 1563.3 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 8.0 პროცენტით მეტია, ხოლო 2019 წლის მაჩვენებლის 138.7 პროცენტს შეადგენს. ყველაზე დიდი წვლილი ტურიზმიდან მიღებულ შემოსავლებში რუსეთს აქვს, საიდანაც სრული შემოსავლის 26.1 პროცენტი მოდის. შემდეგი კონტრიბუტორია ევროკავშირი 18.7 პროცენტით, ხოლო მის შემდეგ მოდის თურქეთი - 17.0 პროცენტით.

დიაგრამა 27: ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი, 2019 = 100




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი გზავნილები

2023 წელს წმინდა ფულადი გზავნილების მოცულობამ 3,790,090 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. ის წინა წელთან შედარებით 5.9 პროცენტით შემცირდა. ეს შემცირება ძალიან საბაზო ეფექტით და რუსეთიდან წმინდა ფულადი გზავნილების მნიშვნელოვანი კლებით (-26.7 პროცენტი წ/წ) იყო გამოწვეული. აღსანიშნავია, რომ 2023 წლის წმინდა ფულადი გზავნილების 39.2 პროცენტი რუსეთიდან შემოვიდა.


დიაგრამა 28: ტურიზმის აღდგენა ქვეყნების მიხედვით, 2019 წლის შესაბამისი თვე = 100, %



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

რაც შეეხება 2024 წლის მესამე კვარტალს, წმინდა ფულადი გზავნილების მოცულობა იყო 771.6 მილიონი აშშ დოლარი, რაც წინა წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელზე 2.6 პროცენტით ნაკლებია. კლებაში ძირითადი წვლილი შეიტანა რუსეთმა 9.0 კპ-ით. ასევე უარყოფითი წვლილი შეიტანა აზერბაიჯანმა (-0.5 კპ) და თურქეთმა (-0.5). ზრდა დაფიქსირდა აშშ-დან წმინდა ფულად გზავნილებში 23.9 პროცენტის, რამაც დადებითი წვლილი შეიტანა მთლიან ზრდაში 3.6 კპ-ით, ასევე გაიზარდა წმინდა ფულადი გზავნილები გერმანიიდან 20.9 პროცენტით, რამაც 1.6 კპ-ით გაზარდა მთლიანი ზრდა, ისრაელიდან 21.0 პროცენტით, რამაც 1.3 კპ. დადებითი გავლენა იქონია და იტალიიდან 7.1 პროცენტით, რამაც 1.2 კპ. დადებითი წვლილი შეიტანა ზრდაში. აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში რუსეთიდან ფულადი გზავნილები შემცირებულია და უარყოფითი წვლილი შექმნა გზავნილების ზრდაში. აღნიშნული დინამიკა განსხვავებული იყო 2023 წლის მეორე კვარტალამდე, როცა რუსეთიდან დიდი რაოდენობით ფულადი ნაკადების შემოსვლა ფიქსირდებოდა.

დიაგრამა 29: წმინდა ფულადი გზავნილები




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სხვა ქვეყნებზე დამოკიდებულება

საქართველოს ეკონომიკა დივერსიფიცირებულია სხვა ქვეყნებზე დამოკიდებულების თვალსაზრისით. მთლიან შიდა პროდუქტში ექსპორტის, ტურიზმისა და ფულადი გზავნილების წილების მიხედვით, საქართველო ყველაზე მეტად დამოკიდებულია რუსეთზე, თურქეთსა და ევროკავშირის ქვეყნებზე. 2024 წლის მეორე კვარტლის მონაცემების მიხედვით, რუსეთზე დამოკიდებულება კვლავ მაღალია, თუმცა კვლავ გრძელდება შემცირების ტრენდი. რუსეთზე დამოკიდებულების მთავარი განმაპირობებელია ტურიზმი, ექსპორტი და ფულადი გზავნილები. თურქეთზე დამოკიდებულება გაზრდილია 2022 და 2023 წლებში, ძირითადად ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების ზრდის გამო. უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში შემცირდა დამოკიდებულება უკრაინაზე, რაც გამოწვეულია უკრაინაში საქონლის ექსპორტისა და ფულადი გზავნილების კლებით. კვლავ მაღალ ნიშნულს ინარჩუნებს ევროკავშირზე დამოკიდებულება, თუმცა მისი დონე შემცირებულია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. 2024 წლის მე-2 კვარტლის და მთლიანად 2023 წლის განმავლობაში ძირითად პარტნიორებზე (როგორცაა ევროკავშირი და დიდი ბრიტანეთი, რუსეთის ფედერაცია, უკრაინა და თურქეთი) დამოკიდებულების შემცირება მიუთითებს სავალუტო შემოსულობების მეტ დივერსიფიცირებაზე.


დიაგრამა 30: დამოკიდებულება ძირითად სავაჭრო პარტნიორებზე (%-ულად მშპ-სთან)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქსტატი




დიაგრამა 31: ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი



დიაგრამა 32: რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი



დიაგრამა 33: გაცვლითი კურსის მერყეობა (დღიური საავალუტო კურსის სტანდარტული გადახრა)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ბაცვლითი კურსი

COVID-19 პანდემიის საწყის ეტაპზე, მაღალი გაურკვევლობის პირობებში, მთელ მსოფლიოში აღინიშნებოდა დოლარის გამყარება. 2021 წლიდან კი დოლარმა შესუსტება დაიწყო, როგორც განვითარებადი, ისე - განვითარებული ქვეყნების ვალუტებთან. მსგავს ტრაექტორიას გაჰყვა ლარიც. 2021 წლის აპრილიდან, ლარმა სწრაფი გამყარება დაიწყო, რასაც ხელს უწყობდა როგორც დოლარის დადამავალი ტენდენცია, ასევე სწრაფად მზარდი ექსპორტი და გაუმჯობესებული მოლოდინები. 2022 წლის დასაწყისიდან შეინიშნებოდა ლარის გამყარება, მაგრამ რუსეთის მიერ უკრაინაში წამოწყებული ომის შემდგომ, ლარი მკვეთრად გაუფასურდა შემდგომ კი დასტაბილურება დაიწყო გამყარების მხრივ. ამ ყველაფერმა გაზარდა ლარის მერყეობა. ლარის გაზრდილი მერყეობა თანხვედრაშია საქართველოს სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ვალუტების ქცევასთან. 2024 წლის მესამე კვარტალში ლარის ნომინალური სავალუტო კურსი მაღალი მერყეობით ხასიათდებოდა და სხვადასხვა მიმართულებით იცვლებოდა მისი გაცვლითი კურსები. აღნიშნულ პერიოდში ლარის კურსზე მოქმედი მთავარი ფაქტორებია: სავალუტო შემოსულობები, ეკონომიკური აქტივობა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და წინასაარჩევნო მოლოდინები და გაურკვევლობა. ამავე კვარტალში ლარი დოლართან მიმართებაში 2.9 პროცენტით გამყარდა, ხოლო ევროსთან მიმართებით კი 1.3 პროცენტით გაუფასურდა წინა კვარტალთან შედარებით. რაც შეეხება თურქულ ლირას, ლარმა მის მიმართ 6.4 პროცენტიანი დევალვაცია განიცადა ამავე პერიოდში. რუსულ რუბლთან მიმართ ლარი 11.0 პროცენტით გაუფასურდა. 2024 წლის მესამე კვარტალში ლარის ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი არ შეცვლილა, ხოლო რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი კი გაუფასურდა და მის საშუალოვადიან ტრენდს აღემატებოდნენ შესაბამისად 19.3 (NEER) და 4.9 (REER) პროცენტებით.

ცხრილი 1: ნომინალური ეფექტური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსების ცვლილება

	1 ოქტომბერი, 2024	1 ოქტ 2024 - 1 იან 2024	1 ოქტ 2024 - 1 იან 2023
ევრო	3.0532	▼ -2.6%	▼ -5.5%
აშშ დოლარი	2.7300	▼ -1.5%	▼ -1.0%
თურქული ლირა	0.0799	▲ 13.9%	▲ 80.6%
რუსული რუბლი	0.0293	▲ 2.0%	▲ 25.3%
ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი	188.46	▲ 1.2%	▲ 14.5%
რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი (სექტემბერი 2024)	140.46	▼ -5.1%	▼ -3.4%

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


ფისკალური სექტორი

ნაერთი ბიუჯეტის შესრულება

2024 წლის მესამე კვარტალში ნაერთი ბიუჯეტის გადასახადებიდან მიღებული შემოსავლის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 5,342 მლნ ლარით, საანგარიშო პერიოდში კი მობილიზებულ იქნა 5,651 მლნ ლარი, რაც შეადგენს საპროგნოზო მაჩვენებლის 105.8 პროცენტს.

- საშემოსავლო გადასახადის სახით მობილიზებულია 1,826 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (1,742 მლნ ლარი) 104.8 პროცენტია.
- მოგების გადასახადის სახით მობილიზებულია 762 მლნ ლარი, რაც ჩამორჩება საპროგნოზო მაჩვენებელს (635 მლნ ლარი) და მის 120.1 პროცენტს შეადგენს.
- დამატებული ღირებულების გადასახადის სახით მობილიზებულია 2,526 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (2,367 მლნ ლარი) 106.7 პროცენტია.
- აქციის სახით მობილიზებულია 659 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (668 მლნ ლარი) 98.7 პროცენტია.
- იმპორტის გადასახადის სახით მობილიზებულია 37 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (40 მლნ ლარი) 93.1 პროცენტია.
- ქონების გადასახადის სახით მობილიზებულია 40 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (21 მლნ ლარი) 193.1 პროცენტია.


დიაგრამა 34: ნაერთი ბიუჯეტის შესრულება



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო


2024 წლის მესამე კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები გაიზარდა 15.6 პროცენტით, ხოლო ხარჯები გაიზარდა 15.5 პროცენტით. ამავე დროს, ნაერთი ბიუჯეტის საოპერაციო სალდომ, რაც წარმოადგენს მთავრობის დანაზოგს, შეადგინა 908.8 მლნ ლარი, ხოლო მთლიანი სალდო განისაზღვრა -657.9 მლნ ლარით.

დიაგრამა 35: ნაერთი ბიუჯეტის სალდო




წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

დიაგრამა 36: გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

დიაგრამა 37: ნაერთი ბიუჯეტის ხარჯები



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

საბიუჯეტო შემოსავლებში მნიშვნელოვან წილს იკავებს გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი, რაც 2024 წლის მესამე კვარტლის მონაცემებით შეადგენს 90.7 პროცენტს. ნაერთმა ბიუჯეტმა გადასახადებიდან მიიღო 5,651 მლნ ლარი, რაც 15.5 პროცენტით მეტია წინა წლის მაჩვენებელზე. საშემოსავლო გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი წლიურად გაიზარდა 19.2 პროცენტით და გაუტოლდა 1,826 მლნ ლარს. მოგების გადასახადებიდან მიღებული შემოსავლები კი წლიურად 60.3 პროცენტით გაიზარდა წინა წლის მესამე კვარტალთან შედარებით და გაუტოლდა 762 მლნ ლარს, რაც შეადგენს საგადასახადო შემოსავლების 13.5 პროცენტს. ამავე დროს, გადასახადებიდან მიღებულ შემოსავალში მნიშვნელოვანი ზრდა შეინიშნება დამატებული ღირებულებისა და საშემოსავლო გადასახადებში. კერძოდ, დამატებული ღირებულების გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი გაიზარდა 16.1 პროცენტით და მოიცავს საგადასახადო შემოსავლების 44.7 პროცენტს. რაც შეეხება საშემოსავლო გადასახადებიდან მიღებულ შემოსავალს, მისი წილი შეადგენს 32.3 პროცენტს, ხოლო ზრდის ტემპი გაუტოლდა 19.2 პროცენტს. 93.9 პროცენტით გაიზარდა ქონების გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი.

2024 წლის მესამე კვარტალში ხარჯები წლიურად გაიზარდა 14.1 პროცენტით და შეადგინა 5,324 მლნ ლარი. ბიუჯეტის ხარჯების ნაწილში ყველაზე დიდი წილი უკავია სოციალურ უზრუნველყოფაზე გაწეულ ხარჯებს, რომელიც შეადგენს მთლიანი ხარჯების 38.7 პროცენტს, ხოლო წლიური ზრდის ტემპი ტოლია 8.8 პროცენტის. გაიზარდა შრომის ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯები, რომლის წლიური ზრდის ტემპი გაუტოლდა 14.3 პროცენტს და შეადგინა 745 მლნ ლარი, რაც არის მთლიანი ხარჯების 14.0 პროცენტი. რაც შეეხება ხარჯების დანარჩენ მუხლებს, საქონელსა და მომსახურებას (მთლიანი ხარჯების 12.8 პროცენტი), სუბსიდიებს (მთლიანი ხარჯების 11.4 პროცენტი), პროცენტს (მთლიანი ხარჯების 9.1 პროცენტი) და სხვა ხარჯებს (მთლიანი ხარჯების 14.0 პროცენტი), 2023 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, შესაბამისად, 4.9 პროცენტით, 5.9 პროცენტით, 29.1 პროცენტით და 42.7 პროცენტით მეტი იქნა მათზე მიმართული.





საქართველოს სახელმწიფო ვალი

2024 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით საქართველოს სახელმწიფო ვალის ნაშთმა შეადგინა 34,088 მლნ ლარი, მათ შორის:

- ❑ სახელმწიფო საშინაო ვალის ნაშთი შეადგენს 9,428.8 მლნ ლარს, მათ შორის:
 - ეროვნული ბანკისათვის განკუთვნილი ერთწლიანი ყოველწლიურად განახლებადი სახელმწიფო ობლიგაცია („ობლიგაცია სებ-ისთვის“) – 40.8 მლნ ლარი;
 - სხვადასხვა ვადის მქონე სახელმწიფო ობლიგაციები ღია ბაზრის ოპერაციებისათვის („ობლიგაციები ღია ბაზრისთვის“) – 160 მლნ ლარი;
 - ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები - 360 მლნ ლარი;
 - ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები - 8,823.9 მლნ ლარი;
- ❑ სახელმწიფო საგარეო ვალის ნაშთი შეადგენს 24,658.7 მლნ ლარს.

დიაგრამა 38: საქართველოს სახელმწიფო ვალი



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო



მონეტარული სექტორი

პირველი სექტორის ლარიზაცია



სესხების ლარიზაციას მზარდი ტენდენცია გააჩნია. 2024 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით მთლიანი სესხების ნაშთების ლარიზაცია 56.5 პროცენტს გაუტოლდა. აღსანიშნავია, რომ მთლიანი სესხების ლარიზაციის ძირითად დეტერმინანტს კვლავ ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების ლარიზაცია წარმოადგენს. მიმდინარე წლის 30 სექტემბრისათვის ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების ნაშთებზე ლარიზაციამ 74.1 პროცენტი, ხოლო იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების ნაშთებზე 36.7 პროცენტი შეადგინა.

რაც შეეხება სესხების ლარიზაციას უზრუნველყოფის მიხედვით, სამომხმარებლო სესხების ლარიზაცია მნიშვნელოვნად აღემატება უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების ლარიზაციას. სამომხმარებლო სესხების ლარიზაცია 2024 წლის მესამე კვარტლის განმავლობაში 90 პროცენტის ირგვლის მერყეობდა და 30 სექტემბრის მდგომარეობით 89.9 პროცენტი შეადგენა. რაც შეეხება იპოთეკური სესხების ლარიზაციას, ის ამავე პერიოდში 49.5 პროცენტს გაუტოლდა.



დეპოზიტების ლარიზაცია ჩამოუვარდება სესხების ლარიზაციას. მთლიანი დეპოზიტების ლარიზაცია მიმდინარე წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით 50.2 პროცენტი შეადგინა. დეპოზიტების ლარიზაციას მნიშვნელოვნად განაპირობებს იურიდიული პირების დეპოზიტების ლარიზაცია, რომელიც 2024 წლის 30 სექტემბერს 65.1 პროცენტს გაუტოლდა, ხოლო ამავე პერიოდში ფიზიკური პირების დეპოზიტების ლარიზაცია 35.6 პროცენტს შეადგენს.

აღსანიშნავია, რომ დეპოზიტების ლარიზაციაში ძირითად კონტრიბუტორს კვლავ ვადიანი დეპოზიტების ლარიზაცია წარმოადგენს, რომლის მნიშვნელობაც 30 სექტემბრის მდგომარეობით, 56.5 პროცენტს გაუტოლდა. ამავე პერიოდში მიმდინარე ანგარიშების ლარიზაცია 46.4 პროცენტს შეადგენს, ხოლო მოთხოვნამდე დეპოზიტების ლარიზაცია 43.9 პროცენტს გაუტოლდა.

დიაგრამა 39: სესხების ლარიზაცია




დიაგრამა 40: დეპოზიტების ლარიზაცია



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა 41: სესხების წლიური ზრდა




სესხების მიმოხილვა

2024 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით 2023 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მთლიანი სესხები 19.8 პროცენტით გაიზარდა, რაც 2.4 პროცენტული პუნქტით მაღალია წინა კვარტალში დაფიქსირებულ მნიშვნელობაზე (კურსის ეფექტის გამორიცხვით). აგრეთვე მნიშვნელოვანი ზრდა შეინიშნება იურიდიული პირების სესხების წლიურ ზრდაშიც, რამაც განაპირობა მისი მნიშვნელობის 22.6 პროცენტამდე ზრდა. ამავე პერიოდში ფიზიკური პირების სესხების წლიური ზრდა 17.3 პროცენტს შეადგენს.

აღსანიშნავია, რომ ეროვნული ვალუტაში დენომინირებული სესხების ზრდა ბოლო პერიოდში მაღალ ტემპს ინარჩუნებს, რომლის მნიშვნელობაც 2024 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით 23.3 პროცენტს გაუტოლდა. აღნიშნული მაჩვენებელი 8.8 პროცენტული პუნქტით მაღალია 2023 წლის ანალოგიურ მნიშვნელობაზე. ამავე პერიოდში უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სესხების ზრდამ 15.4 პროცენტი შეადგინა, რაც 2.7 პროცენტული პუნქტით აღემატება გასული კვარტლის მნიშვნელობას (კურსის ეფექტის გამორიცხვით).

2024 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების წლიურმა ზრდამ 20.4 პროცენტი შეადგინა. ამასთან აღსანიშნავია, რომ ეროვნულ ვალუტაში დენომინირებულ იპოთეკურ სესხებში 25.6 პროცენტიანი ზრდა დაფიქსირდა, რაც 0.9 პროცენტული პუნქტით ჩამოუვარდება წინა კვარტლის ანალოგიურ მნიშვნელობას. ხოლო უცხოურ ვალუტაში დენომინირებული იპოთეკური სესხების ზრდა 15.7 პროცენტს შეადგენს, რაც 3.7 პროცენტული პუნქტით მაღალია წინა კვარტალთან შედარებით.

დიაგრამა 42: უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების წლიური ზრდა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი






დეპოზიტების მიმოხილვა

2024 წლის 30 სექტემბრის მთლიანი დეპოზიტების ზრდა, 2023 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 16.4 პროცენტს შეადგენს, რაც 2.3 პროცენტული პუნქტით ჩამოუვარდება წინა კვარტლის ანალოგიურ მაჩვენებელს. ამის ძირითად მიზეზს წარმოადგენს უცხოურ ვალუტაში დენომინირებული დეპოზიტების ზრდის ტემპის შედარებით დაბალი დონე. ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული დეპოზიტების წლიურმა ზრდამ 19.9 პროცენტი შეადგინა. ამავე პერიოდში კი უცხოური ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების წლიურმა ზრდამ 13.0 პროცენტი შეადგინა.

2024 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით, ფიზიკური პირების დეპოზიტების ზრდამ 17.8 პროცენტი შეადგინა, ხოლო იურიდიული პირების დეპოზიტების წლიურმა ზრდამ იმავე პერიოდში 14.9 პროცენტს გაუტოლდა.


რაც შეეხება დეპოზიტების ზრდას ტიპების მიხედვით, ყველაზე მაღალი ზრდით ხასიათდება ვადიანი დეპოზიტები. 2024 წლის 1 ოქტომბრისათვის, ვადიან დეპოზიტებში წლიური ზრდის ტემპმა შეადგინა 33.8 პროცენტი. რაც შეეხება მიმდინარე ანგარიშსა და მოთხოვნამდე დეპოზიტებს, მათმა წლიურმა ზრდამ, შესაბამისად, შეადგინა 0.8 და 9.5 პროცენტი.

დიაგრამა 43: დეპოზიტების წლიური ზრდა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა 44: ინფლაცია და მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი




მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი

საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა 2024 წლის მესამე კვარტალში ჩაატარა 2 სხდომა. სებ-ის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა მიმდინარე წლის 30 ივლისსა და 11 სექტემბერსა რეფინანსირების განაკვეთი უცვლელი დატოვა 8 პროცენტთან ნიშნულზე.

სებ-ს მიხედვით, საქართველოში დაბალი ინფლაციური გარემოა. აღნიშნული სიტუაცია განპირობებულია როგორც საშინაო, ისე საგარეო ფაქტორებით. საშინაო ფაქტორებიდან ხაზგასასმელია მკაცრი მონეტარული პოლიტიკის ეფექტები, ადგილობრივად წარმოებული პროდუქციის კლებადი ინფლაცია და შემცირებული ინფლაციური მოლოდინები. გარდა ამისა, გაზრდილია კონკურენცია ბაზრებზე, რაც ფირმების მოგების მარჟებსა და ფასებზე ნეგატიურ (შემცირების) ზეწოლას წარმოქმნის. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნის ეკონომიკური ზრდა უზრუნველბა მაღალ ტემპს (2024 წლის პირველი ნახევრის ეკონომიკური ზრდა 9.0%-ია), რომელსაც გაზრდილი საკრედიტო აქტივობაც უწყობს ხელს. თუმცა ამავე დროს გაზრდილია ეკონომიკის წარმოების პოტენციალიც ფასების შემცირების წინხსა და დაბალი ინფლაციური გარემოს აყალიბებს. საგარეო ფაქტორებიდან გამოსარჩევია წითელი ზღვის კრიზისი, რუსეთ-უკრაინის გაჭიანურებული კონფლიქტი და ისრაელი-პალესტინისა და ისრაელი-ლიბანის კრიზისები, რომელნიც საერთაშორისო ტრანსპორტის გაძვირებას უწყობს ხელს. საქართველოში ინფლაციამ პიკური პერიოდი უკვე გაიარა, შემცირდა და სამიზნე მაჩვენებელს (3%) ჩამოცდა კიდევ. მიმდინარე წლის სექტემბერში ინფლაციამ 0.6 პროცენტი შეადგინა. ასევე ხაზგასასმელია, რომ 2024 წლის პირველი 9 თვის საშუალო ფაქტობრივი ინფლაცია 1.1%-ია. მოსალოდნელია, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი ნელი ტემპით მოახდენს მონეტარული პოლიტიკის მეტად შერბილებას ინფლაციური რისკების გათვალისწინებით.

დიაგრამა 45: სებ-ის სავალუტო აუქციონზე აშშ დოლარით ვაჭრობის დინამიკა, მლნ



2024 წლის მესამე კვარტალში ეროვნულ ბანკს სავალუტო აუქციონის საშუალებით არ განუხორციელებია სავალუტო ინტერვენციები.

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი



საპროცენტო განაკვეთები


2024 წლის 30 სექტემბრისათვის, უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთმა 2.2 პროცენტი შეადგინა, ხოლო ეროვნული ვალუტით 9.9 პროცენტს უტოლდება.

2024 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, იურიდიული პირების მიერ ეროვნულ ვალუტაში განთავსებულ დეპოზიტებზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 10.0 პროცენტს გაუტოლდა, ხოლო უცხოური ვალუტით - 3.0 პროცენტს. ამავე პერიოდში ფიზიკური პირების დეპოზიტებზე საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთები უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე 2.2 პროცენტს, ხოლო ეროვნული ვალუტით - 9.9 პროცენტს შეადგენს.


2024 წლის 30 სექტემბრის საშუალო წლიური შეწონილი საპროცენტი განაკვეთი მოკლევადიან სამომხმარებლო სესხებზე 11.6 პროცენტს გაუტოლდა (ეროვნული ვალუტით - 15.8 პროცენტი, ხოლო უცხოური ვალუტით - 6.0 პროცენტი). გრძელვადიან სამომხმარებლო სესხებზე საშუალო შეწონილ საპროცენტო განაკვეთს მნიშვნელოვანწილად ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული სესხები განსაზღვრავს. მისი სიდიდე ზემოთ აღნიშნულ პერიოდში 15.7% იყო.

იურიდიულ პირებზე გაცემულ ეროვნულ ვალუტაში დენომინირებულ იპოთეკურ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი 2024 წლის 30 სექტემბერს 12.5 პროცენტს შეადგენდა, ხოლო უცხოური ვალუტით - 9.5 პროცენტს. ამავე პერიოდში ფიზიკურ პირებზე ეროვნულ ვალუტაში გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთმა 12.3 პროცენტი შეადგინა, ხოლო უცხოურ ვალუტაში კი - 7.5 პროცენტი.


დიაგრამა 46: საპროცენტო განაკვეთები დეპოზიტების ნაშთებზე



დიაგრამა 47: საპროცენტო განაკვეთები გაცემულ, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილ სესხებზე



ფიზიკური პირები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საინფორმაციო ფურცელი

პუბლიკაცია მომზადებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის მიერ. პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაცია და აზრები წარმოადგენს ავტორების - მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის ეკონომიკური გუნდის აზრებს და არ წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ პოზიციას. პუბლიკაციაში მოყვანილი ანალიტიკური ინფორმაცია ემსახურება საინფორმაციო მიზნებს და მოპოვებულია საჯარო წყაროებიდან. ანგარიშში მოცემული პროგნოზები და გაანგარიშებები არ უნდა იყოს მიღებული, როგორც დაპირება, მინიშნება და გარანტია.

